N77/23
14.02.19

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2015 წლის 29 იანვარს მიღებული იქნა გადაწყვეტილება N57/9 „ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ". აღნიშნული გადაწყვეტილებით ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ დადგენილ ავტორიზებული პირებს შპს "კავკასუს ონლაინს" და სს "სილქნეტს" ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურებაზე დაუდგინდათ ზედა ზღვრული ტარიფი 32 ლარის (გადასახადების გარეშე) ოდენობით ერთ მგბტ/წმ-ზე, თვეში. აღნიშნული გადაწყვეტილების მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის მიხედვით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დაეკისრათ დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით: „ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირებმა უზრუნველყონ ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მსურველი (აქცეპტანტი) ავტორიზებული პირისათვის მიწოდება იმგვარი არადისკრიმინაციული და ერთგვაროვანი პირობებით (მათ შორის ტარიფებით, ხარისხით, მიწოდების ვადებით), რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე საკუთარი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის, აფილირებული ან/და სხვა ავტორიზებული პირებისათვის"

კომისია აღნიშნავს, რომ ინტერნეტის გლობალურ და ლოკალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების დანახარჯების სტრუქტურაში (შემადგენლობაში) გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურებას მნიშვნელოვანი წილი უკავია, როგორც ამ მომსახურების მიმწოდებლისთვის ასევე მისი მიმღებისთვის შესაბამისად, კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის 671/9 გადაწყვეტილებით („გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ") მაგისტრალური არხებით საბითუმო მომსახურებებზე მათ შორის, ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელთან და მომავალი თაობის ქსელის ციფრულ მოწყობილობებთან მათ შორის, „WDM"-თან და "Ethernet" (L2 ან L3)-თან დაშვებაზე კომისიამ დაადგინა ეფექტური ოპერატორის საფუძველზე ე.წ „LRIC" მოდელით გაანგარიშებული ხარჯზე ორიენტირებული ტარიფები. ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელში ერთი ძარღვის იჯარაზე ერთ კილომეტრზე 14,90 ლარის ოდენობით თვეში, ხოლო მონაცემების ტრანსპორტირებზე ერთ მეგაბიტზე 0,50 ლარის ოდენობით თვეში.

კომისია აღნიშნავს, რომ 2017 და 2018 წლების განმავლობაში გლობალური ინტერნეტის საბითუმო რესურსებთან დაშვების მომსახურებაზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებმა ინტერნეტის გლობალური რესურსებთან წვდომის მომსახურებაზე საბითუმო ტარიფების 32 ლარიდან 12,50 ლარამდე შეამცირეს. მიუხედავად ტარიფების აღნიშნული შემცირების, ეროვნული და საერთაშირისო „IP" ტრანზიტის საბითუმო მომსახურებებზე კონკურენციის შეფასება აუცილებელია რადგან, პატარა ოპერატორებს, რომლებსაც არ აქვთ პირდაპირი წვდომა ეროვნულ ან საერთაშორისო ინტერნეტის რესურსებთან, არ შეუძლიათ დიდი ოპერატორებისთვის ეფექტური კონკურენციის გაწევა, როგორც ინტერნეტის სიჩქარის, ასევე ფასების თვალსაზრისით.

საქართველოში საერთაშორისო „IP" ტრანზიტის ფასების შემცირების მიუხედავად ის ე.წ „საერთაშორისო ბენჩმარკთან" შედარებით მაინც მნიშვნელოვნად მაღალია.

საერთაშორისო IP ტრანზიტის ფასები 10GigE (USD 1მბ/წმ-ზე)

გრაფიკი N1



წყარო: მსოფლიო ბანკი, ტელეგეოგრაფის მონაცემებზე დაყრდნობით, 2017წ.

სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი 2017 წლის აუდირებული განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის თანახმად საბითუმო გლობალური ინტერნეტის მომგებიანობის მაჩვენებელი (საოპერაციო მოგების შეფარდება დატვირთულ ძირითად კაპიტალთან) 350 პროცენტს შეადგენს, მაშინ როდესაც კომისიის მიერ დადგენილი კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) 13.69 პროცენტია. ამასთან აღსანიშნავია, რომ შპს „კავკასუს ონლაინს“, მიუხედავად კომისიის მიერ აუდირებული განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის წარმოდგენის ვადის რამდენჯერმე გადაწევისა და კომპანიის სამართალდამრღვევად ცნობისა, შპს „კავკასუს ონლაინს“ აუდირებული განცალკევებული აღრიცხვის ანგარიში კომისიაში დღემდე არ წარმოუდგენია.

კომისია აღნიშნავს, რომ კვლევისა და ანალიზის სრულყოფილად ჩატარებისთვის აუცილებელია ავტორიზებული პირებისგან მოხდეს დეტალური ინფორმაციის გამოთხოვა. ამასთან, კვლევის და ანალიზის ჩასატარებლად საჭიროა ავტორიზებული პირებისგან მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. აღნიშნული გარემოების გამო, კომისიას მიაჩნია, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას კანონმდებლობით დასაშვები მაქსიმალური 3 თვიანი ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და IX თავის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №57/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის მიზნით;

2. საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის განისაზღვროს 3 თვიანი ვადა;

3. საკითხის ზეპირი მოსმენა გაიმართოს 2019 წლის 25 აპრილს 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18, ხოლო გადაწყვეტილება მიღებულ იქნას, ზეპირი მოსმენის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

4. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ნ. ჯანელიძე) საჯარო გაცნობისათვის ცნობის გამოქვეყნება ინტერნეტში კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

5. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად;

6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი სარეზოლუციო ნაწილის კომისიის სხდომაზე გამოცხადებისთანავე;

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილს).

კომისიის თავმჯდომარე	**კახი ბექაური**
კომისიის წევრი	**ვახტანგ აბაშიძე**
კომისიის წევრი	**ელისო ასანიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**მერაბ ქათამაძე**